№ 126 ოთხშაბათი, 26 თებერვალი. 1896—1897 ოთხშაბათი, 26 თებერვალი, № 126

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

Телефонъ магазина 64
Конторы и Склада 77

ВЫСОЧАЙШЕ УТВЕРЖДЕННОЕ
Кавказское товарищество торговли аптекарскими товарами
ТИФЛИСЪ
МАГАЗИНЪ на Эриванской площади, Г. Гургенова
Складъ и Контора на Водовозной ул. собст. домъ.
უმაღლესად დამტკიცებული
კავკასიის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობა.
საწყობი და კანტორა იმყოფება დიდს ვოდოვოზნის ქუჩაზე საკუთარს სახლებში, ხოლო მაღაზია ერევნის მოედანზე, გურგენოვის სახლებში.
სააფთიაქო, ხიმიური და საკოსმეტიკო საქონელი; საოჯახო და ავადმყოფთა მოსავლელად საჭირო ნივთეულებანი;
სალაბორატორიო ნივთეულობა მოწონებული (პატენტიანი) და ჰაერის გასაწმენდი (სადეზინფექციო) წამლები;
ნამდვილი (ბუნებითი) მადნის წყლებით და მარილი კავკასიისა და უცხოეთისა;
სადოსტაქრო იარაღი;
ფოტოგრაფიისათვის ალბუმის ქაღალდი;
სქელი ქაღალდი (კარტონი) ჯოჯოხეთის ქვა (ლიაპისი):
ქლორის ოქრო (хлористое золото) და სხვანი;
საოჯახო და სავაჭრო აფთიაქი.
ბავშვებთათვის საოთახო შუშხუნები და სხვა-და-სხვა საშობაოთ საჩუქრები და სათამაშოები;
ფოტოგრაფიის იარაღები და სხვანი
გამოსადეგნი და საჭირო ნივთეულებანი.
უმთავრესი და ერთად-ერთი მთელს კავკასიაში
საწყობები
სანკტ-პეტერბურგის ხიმიურის ლაბორატორიისა;
ბროკარის და კამპ. მოსკოვში და სხვა ფირმებისა
კავკასიის ხიმიური ლაბორატორიისა ა. წურინოვისა და სხვათა
დასნეულებულ მილდიუთი და ოიდიუმით
(ობითა და ნაცრით)
ვენახების სამკურნალოდ, საუკეთესო—ინგლისური შაბიამანი გოგირდის ფხვნილი—გერმორელის აპპარატები, საბერველები (ფუქსები) გოგირდის ფხვნილისა და სხვათა.
Адресъ для телеграммъ: Тифлисъ, „Санитасъ“.
განყოფილება ქ. ბაქოს (отдѣленіе въ Баку). (10—7)

„წინანდალი“
საკუთარის ვენახებიდამ
კახური (ძველის ძველი) ღვინოები
ვაჭ. დ. კოზმანიშვილისა.
უმთავრესი საწყობი: თბილისი, მიხეილის ქუჩა, № 71, სახლი ულანცევისა.
„ЦИНАНДАЛЫ“
Извѣстная фирма Кахетинскихъ винъ. Мих. у. д. Уланцева, 71.
(10—9)
„წინანდალი“

„წინანდალი“

„წინანდალი“

მოყვანილია გასასყიდად
ჰაჯი ისმაილ-ოღლის ბაღიდგან
სოფ. ბელაქანში
ხეხილები
(1, 2 და 3 წლის ნამყენი)
იყიდება კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში (ბარიატინსკის ქუჩა). (3—6.—1)

წლიური ჩვეულებრივი კრება
ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობასა

დანიშნულია 2 მარტისათვის სოფელ კუხს, ამხანაგობის სადგომში. კრებას მოხსენდება:

1) წარსულ 1896 წლის ანგარიში ამხანაგობის აღებ-მიცემობისა;

2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისა; 3) პროექტი ამხანაგობის ახალი წესდებისა, რომელიც კრებისაგან მოწონების შემდეგ, წარედგინება უმაღლესს მთავრობას დასამტკიცებლად;

4) ამხანაგობის მმართველი სთხოვს კრებას, არჩეულ იქმნენ მისი მოადგილე და სხვა ზოგიერთ თანამდებობის პირნი;

5) მიეცეს ნება-რთვა განყოფილებათა გახსნისა ზუგდიდში და საჩინოში.

6) წილის ახალი ბარათების გამოცემისა;

7) სესხის აღებისა ამხანაგობის აღებ-მიცემობის გასაძლიერებლად;

8) საჭირო არის, მიექცეს ამხანაგობის ყურადღება ჩვენებურ შალების აღებ-მიცემობას, ესე იგი, ამხანაგობამ უნდა იკისროს, როგორც გაუმჯობესობა შალეულობის ქსოვისა, ისე გასაღება ნაქსოვებისა.

ნ. წერეთელი.
(5—2)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი).

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავათმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი **ქალი მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

(წ.)

გამოვიდა და იყიდება
ქართველთა ამხანაგობის და ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი
ცეცხლითა და მახვილითა
ისტორიული რომანი გენრიკ სენკევიჩისა
980 გვ. ფასი 1 მან. 60 კაპ.
დასტურ-ლამა
თ. დადიანისა
ფასი 25 კაპ.
ვინც ქართველთა ამხანაგობისაგან გაიწერს ფას-დადებით არა ნაკლებ ხუთის წიგნისა ერთად, ასზედ 30%-ის დაკლებით გაეგზავნება. (3—2)

იაფად, სამუდამოდ და პირიანად კსდგამ სახლებში

ელექტრონის
ზარებს
მსურველთ საახალწლოდ იაფად გავუმართავ გაფუჭებულს და დამდგარს ზარებს.
შეიძლება მომმართონ გ. ჩარკვიანის სტამბაში, სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი.
მ. იანქოშვილი
(20—12)

გუშინდელი დეპეშა

24 თებერვალი.

პეტერბურგი. 23 თებერვალს ალექსანდრეს სასახლეში, ცარსკოე სელოს, ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა პრუსიის გრენარერთა იმპერატორის ალექსანდრეს სახელობის რაზმის უფროსი, გერმანიის იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი მოლტკე. გრაფ მოლტკემ ხელმწიფე იმპერატორს გერმანიის იმპერატორის საკუთარის ხელით დაწერილი წერილი გარდასცა.

23 თებერვალს ცარსკოე სელოში ხელმწიფეს წარუდგნენ სპარსეთის მიერ საგანგებოდ წარმოგზავნილნი ელჩის მეთაურობით.

ბერლინი. კონსტანტინეპოლიდგან იუწყებიან: „ელჩებმა მიიღეს პორტასაგან პასუხი ერთობილის ნოტისა, რომელიც კრიტის შესახებ იყო გაგზავნილი. პორტა პასუხში ამბობს, რომ თანახმა ვარ ნოტის შინაარსისა და იმედი მაქვს, რომ რაც შეეხება კრიტის თვით-მმართველობის წვლილს, ამის გამოსარკვევად ჩემსა და დიდ სახელმწიფოთა შორის განსაკუთრებული მოლაპარაკება და მორიგება იქნებაო.

კონსტანტინეპოლი. იმ ნოტაში, რომელიც ბრწყინვალე პორტას გაეგზავნა დიდ სახელმწიფოებისაგან, ნათქვამია, რომ რათა დაცულ იქმნას მშვიდობიანობა და ერთიანობა ოტტომანიის იმპერიისა, დიდნი სახელმწიფონი საჭიროდა სთვლიან დაანებონ თავი 13 აგვისტოს ცვლილებათა პროექტს და კრიტს უფრო ვრცელი თვით-მმართველობა მიანიჭონ, და აგრეთვე მოთხოვნილია კრიტიდგან ოსმალეთისა და საბერძნეთის ჯარების გამოყვანა. თავადს ავგროგორდატოს მიენდო პირდაპირ პორტას მოელაპარაკოს და მოურიგდეს ჯარების ერთს დროს გამოყვანის შესახებ. სადიპლომატიო წრეებში ხმა დადის, რომ საბერძნეთი თანხმდება საქმის ამგვარ გარდაწყვეტასა. ამ შემთხვევაში დელიანისის სამინისტროს დაცემა აუცილებელია. 24 რიცხვს ექვსნი დიდნი სახელმწიფონი გარდასცემენ სამახსოვნო ბარათს ჯარის გაყვანის შესახებ, რომელშიაც ნაჩვენები იქნება რა და რა ადგილას არის ჯარი დაბანაკებული.

ვენა „ფრემდენბლატ“-ი სწერს, რომ საბერძნეთი სცდება, თუ ჰგონია, რომ სერბია და ბოლგარია შეუერთდებოდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ საომრად, თუმცა სოფიიდგანა და ბელგრადიდგან ამის შესახებ სასურველი პასუხი არა მოსულია-რაო. ომი რომ მომხდარიყო, სერბია და ბოლგარია უფრო იმას ეცდებოდნენ მშვიდობიანად დაეჩემებინათ რამე, სიგელები მიეღოთ სულთანისაგან საეკლესიო პროვინციების დაჩემებისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც ამ გვარად საბერძნეთის გავლენის გარეშე დარჩებოდა. დიდნი სახელმწიფონი მორიგებას-კი არა სთხოვენ საბერძნეთს; არც ერთი მათგანი უკან არ დაიწევდა და უარს არ იტყოდა ძალ-დატანება ეხმარა, რაც აუცილებელი იქნებოდა, საბერძნეთს რომ წინააღმდეგობა გაეწიაო.

ათინა. ქრისტიანებმა სცადეს მალაქსის ციხე-სიმაგრის აფეთქება დინამიტით, მაგრამ ვერ მოახერხეს. მალაქსის ახლო თოფების სროლაა ოსმალთა და ქრისტიანეთა შორის. მალაქსის დამწყვდეულ ოსმალების დასახმარებლად კანეიდგან ნიზამის ჯარის რაზმი წავიდა.

საბერძნეთის გაზეთის კორესპონდენტები იძულებულ იქმნენ წასულიყვნენ კანეიდგან, რადგან საერთაშორისო საოკუპაციო ჯარის უფროსმა აცნობა, რომ მდაბიო მკვიდრთა მუქარის გამო მე პასუხის-გებას ვეღარ ვიკისრებ თქვენის უშიშრად ყოფნისასაო.

კონსტანტინეპოლი. დიდთა სახელმწიფოთა ელჩებმა, შეიკრიბნენ რა დღეს სათათბიროდ, გადასწყვიტეს გააუქმონ კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს კრიტის ჟანდარმერიის შედგენა, რადგან კრიტის თვით მმართველობა თხოულობს, რომ ჟანდარმერია სხვა პირობებით იქმნას დაწესებულიო.

კანონი და მთავრობის განკარგულება.

უწმიდესის სინოდის გადაწყვეტილებანი.

უწმიდესის სინოდის გადაწყვეტილებით 10—11 აპრილიდამ 1897 წლისა მე-50 ნომრით, ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორი, არქიმანდრიტი დიმიტრი გადაყვანილ არს ასეთსავე თანამდებობაზედ ნოვგოროდის სასულიერო სემინარიაში, აგრეთვე იგივე დანიშნულ არს წინამძღვრად ანტონი რომაელის მონასტრისა,

—

უწმიდესს სინოდთან არსებულის სამეურნეო სამმართველოს მიერ.

გინაიდგან 6 დეკემბრისთვის, 1896 წლ. უმაღლესად ნება-დართულ იქმნა იმერეთის ყოველს ადგილს შეწირულებათა შეკრება შესაკეთებლად მცხეთის თორმეტთა მოციქულთა ტაძრისა, რომელიც წარმოადგენს შესანიშნავს ნაშთს ძველის ქრისტიანობრივის ხუროთ-მოძღვრებისას, უწმიდესს სინოდთან არსებული სამეურნეო სამმართველო ამით აცხადებს, რომ შეწირულებანი ხსენებულის საგნის სასარგებლოდ შეიძლება გაგზავნილ იქმნენ ანუ ხსენებულს სამმართველოში, ან არა და საქართველო-იმერეთის უწმიდესის სინოდის კანტორაში, ქალაქს თბილისს.

ახალი ამბავი

⁂ **უეკკლესიობა ნაძალადევში.** ნაძალადეველთ უბნელების უმეტესი ნაწილი მოკლებულნი არიან წირვა-ლოცვას ეკკლესიის უქონლობის გამო და ნამეტნავად ამ დიდ მარხვაში, როდესაც ყველა ცდილობს ცოტათი მაინც არის თავისი ცოდვები მოინანიოს ღვთის ვედრებაში, ეკკლესიის სიშორისა გამო ვერ უვლიათ. ახლა-კი მ. იროდიონ გურგენიძემ გამოუცხადა იქაურ მრევლს, რომ ამ დიდ-მარხვის პირველ კვირას ვისაც-კი ჰსურს საზიარებლად მოემზადოს, იარონ წირვა-ლოცვის მოსასმენლად ნაძალადევის სამრევლო სკოლაში დილის ათ საათზედ და საღამოს ოთხ საათზედაო, სადაც შევასრულებ წირვა-ლოცვას შაბათამდეო და შაბათს-კი ეკკლესიაში მობრძანდით და იქ მიიღეთ საიდუმლოვო. ამ ამბის შეტყობით, ძლიერ მადლობელნი დარჩნენ მ. გურგენიძისა და ხალხმა სიარული დაიწყო სკოლაში.

⁂ **ახალი დანიშნულება.** ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს უფროს ორდინატორად დანიშნულ იქმნა სამხედრო ექიმი გურკო.

⁂ **მეფუტკრეთა საზოგადოების გამოფენანი კავკასიაში.** რუსეთის მეფუტკრეთა საზოგადოებას განზრახვა აქვს წელს გამოფენანი გამართოს ტფილისში, კავკავში და სტავროპოლში. ამის შესახებ მთავარ-მართებლის კანცელარიამ განკარგულება მოახდინა, რომ ყველა გუბერნატორებმა ეს ამბავი გამოაცხადონ და გაავრცელონ ხალხში.

⁂ **ბ-ნ პოლიცმეისტერის განკარგულება ახალ შენობების შესახებ.** რადგან ხშირად ქალაქში სახლების აშენების დროს არ ხელმძღვანელობენ ხოლმე ტეხნიკურის მხრით სავალდებულო წეს-რიგით და არა ერთხელ ჩაქცეულა კედლები და ბევრი მუშა ხალხიც უმსხვერპლნია,—ტფილისის პოლიცმეისტერს განკარგულება მოუხდენია, რომ ქალაქში არც ერთი სახლის შენობა არ დაიწყონ ისე, რომ ქალაქის ტეხნიკმა, პოლიციის მოხელის თანდასწრებით, არ დაათვალიეროს ადგილი, სადაც სახლი უნდა აშენდეს და შენობასაც თვალ-ყური არ ადევნონო.

⁂ **ტფილისის პოლიცმეისტერს** განკარგულება მოუხდენია, რომ ყველა ქარხნების პატრონებმა შეატყობინონ ხოლმე დაუყონებლივ გუბერნიის მეხანიკს, თუ ვინიცობაა ქარხნის მუშას უბედურება რამ შეემთხვა და დაშავდა.

⁂ **საზღვარ გარეთელთა დასახლება კავკასიაში.** გაზეთს „გრაჟდ.“ შეუტყვია, რომ კავკასიაში საზღვარგარეთელთა დასახლების საქმეს მალე განიხილავს უმაღლესი მთავრობაო.

⁂ **შეღავათი ტეხნიკურ სასწავლებლის შეგირდებს.** თუ ვინიცობაა რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებლის შეგირდი ავად გახდა, ექიმობისათვის არაფერს არ ახდევინებენ.

⁂ **მოწამლული.** ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში 15 თებერვალს, ნათესავებს მოუყვანიათ საექიმოდ თელაველი იაგორ მელქოძე გრიქუროვი, რომელიც 22 თებერვალს მომკვდარა კიდეც. პოლიციამ გამოიკვლია, რომ გრიქუროვი დახლიდრად მსახურობდა ყაზარაშვილის ღვინის სარდაფში მიხეილის ქუჩაზედ. 15 თებერვალს ყაზარაშვილს მოუთხოვია წლიური ანგარიში და გრიქუროვს დააკლდა, თურმე, 750 მან., რისთვისაც ყაზარაშვილს დაუთხოვნია სამსახურიდამ. ამ გარემოებით გულ გახეთქილს გრიქუროვს კარბოლის სიმჟავით თავი მოუწამლავს.

⁂ **ქალაქის არჩევანების გამო.** ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევანები, რომელიც მაისში უნდა მოხდეს, დღეს ყველას ყურადღებას იზიდავს. ყველანი ემზადებიან ამ არჩევანებისთვის და უნდათ თავიანთი ხმოსნები აირჩიონ. მხოლოდ ჩვენ, ქართველები, ვგონებ, ყველაზედ ნაკლებ ვზრუნავთ ამ საგნის შესახებ. ზრუნვას თქვენი ჭირი წაუღია, ჩვენ ჯერ ისიც ვერ გამოგვირკვევია, რა დამოკიდებულებაა სასურველი ვიქონიოთ ჩვენს მეზობლებთან, რომელნიც დაეპატრონნენ ჩვენს დედა-ქალაქს და სისტემატიურად სდევნიან ქალაქის სამმართველოდამ ყოველსავე მათთვის არა სასარგებლოს. ვგონებთ, დრო არის თვალი ავახილოთ და საგანი სავსებით დავინახოთ თავისის ავ-კარგიანობით. ვგონებ, წარსული არჩევანები და მრავალი სხვა მაგალითები საკმარისნი არიან იმის საბუთად, რომ ჩვენი მეზობლები ჩვენთვის არა ზრუნავენ და ტყუილ მალაყს თამაშობენ, როდესაც ძმობაზე და ერთობაზე ჩამოაგდებენ ხოლმე ლაპარაკს. ჩვენ, მცირე წლოვან ბავშვებივით, გვჯერა ეს ცბიერი მასლაათი და ეს დაჯერება ხელს გვიშლის, ერთხელ და სამუდამოდ გარკვეულ გზასა და აზრს დავადგეთ შესახებ ჩვენის მეზობლებისა.

სრულის გულ-მტკივნეულობით უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ბავშვური რწმენა პოულობს ადგილს ზოგიერთს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. მაგალითად, ჩვენი „მეცნიერი“ „კვალი“ უკანასკნელ ნომერში გვიქადა-

მეურნეთა საყურადღებოდ

ახალი საშუალება მინდვრის თაგვებთან საბრძოლველად.

სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს „ცნობებში“ წარსულ წელს დაბეჭდილი იყო სამინისტროს ბაკტერიოლოგიური ლაბორატორიის წერილი იმ საშუალებათა შესახებ, რომელიც უნდა იხმაროს მეურნემ მინდვრის თაგვებთან საბრძოლველად. ეს ფრიად საყურადღებო წერილი დიდათ სასარგებლოა ჩვენთვისაც, რადგანაც ეხლა, როგორც ყველას მოეხსენება, ჩვენშისაც მრავლდება მინდვრის თაგვები და ჩვენც ვეცდებით მოკლედ გადავცეთ მკითხველს თუ რა საშუალებას დაადგა სამინისტროს ლაბორატორია ხანგრძლივის გამოკვლევისა და შრომის შემდეგ.

ბრძოლა მავნებელ ცხოველებთან, პირველის შეხედვით, კაცს ძლიან ადვილად ეჩვენება, მაგრამ საქმე ასე არ არის. პირიქით, რამე საშუალების მოგონება მათთან საბრძოლველად ისე ძნელი და გასაჭირი, რომ ჯერაც ხეირიანი საშუალება ვერ გამოუკვლევია მეცნიერებას. აქნობამდის ჯერ არც ერთი ისეთი საშუალება არ არის გამოგონილი, რომლითაც ადვილად და იაფად ეშველებოდეს საქმეს და აუცილებლივ მიახწევდეს მიზანს.

მინდვრის თაგვებთან საბრძოლველად მხოლოდ ერთად-ერთი საშუალებაა ამ ჟამად ნაჩვენები, რომელიც გერმანიის პროფ. ლეფლერმა გამოიგონა. მეურნენიც ამ საშუალებაზედ უთითებენ ხოლმე ყველას, როგორც უებარ ღონეზედ მინდვრის თაგვთა გასაწყვეტად:

მართალია, 1891 წელს პროფ. ლეფლერმა მისგან ნაპოვნი ბაცილებით მოშხამა რა ფესალიის მინდვრის თაგვები, სულ მთლად გაჰსწყვიტა; მაგრამ ამავე საშუალების ხმარებამ სხვა ქვეყნებში აშკარად დაგვანახვა მისი უვარგისობა და ისე ვერ იმოქმედა, როგორც ფესალიაში, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თვით ლეფლერი, აგრეთვე ის სავაჭრო ფირმა, რომელიც ლეფლერის მიერ გამოგონილს წამლებს ამზადებდა, ყოველ გზის სცდილობდა მის გავრცელებას.

ეს საშუალება არ გავრცელდა არც ინგლისში, არც საფრანგეთში და არც რუსეთში. პირიქით, ლეფლერის გამოგონებას ისეთივე უნაყოფო შედეგი მოჰყვა ყველგან, როგორც პასტერის საშუალებას კურდღლების გასაწყვეტად —ავსტრალიაში.

სამინისტროს ლაბორატორიას აზრათ ჰქონდა: დაწვრილებით გამოეკვლია, თუ რა მიზეზის გამო ლეფლერის საშუალება სხვა-და-სხვა ქვეყნებში ერთგვარად არ მოქმედობსო. ამის გამოსაკვლევად ლაბორატორიაში დაიწყეს მუშაობა 1894 წელს და მხოლოდ შარშან დამთავრდა.

ამ ხანგრძლივმა გამოკვლევამ ის დასკვნა გამოიყვანა, რომ ლეფლერის ბაცილების ბევრს შემთხვევაში უსარგებლობა იმას უნდა მიეწეროს, რომ იგი ძალიან ჩქარა ჰკარგავს შხამს და მხოლოდ ახლად გაკეთებულს შეუძლიან ჯეროვანი გავლენა იქონიოს, როგორსაც ხმარობდა თვით ლეფლერი ფესალიაში.

ამის გამო, ლაბორატორიას უნდა შეემუშავებინა ისეთი საშუალება, რომლითაც ლეფლერის საწამლავს დიდს ხნობამდის შერჩენოდა შხამი და იაფიც ყოფილიყო, რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო. სავაჭრო ფირმა ბერლინში 2 მანათად ჰყიდის რუსეთში თაგვების საწამლავს, რომელიც მარტო ზემოდან შეიცავს შხამს.

ესეთივე საწამლავი, რუსეთში მომზადებული, სჯდება 50 კაპიკი. ამის გარდა, შხამი უნდა გაიხსნას თბილს წყალში და თუ ვინიცობაა ხეირიანად ვერ გაიხსნა, ჯეროვანად ვერ იმოქმედებს.

სამინისტროს ლაბორატორიამ ისეთ ნაირად გააუკეთესა ლეფლერის საშუალება და გააადვილ-გააიაფა, რომ ერთი ვედრო 3 მან. 60 კაპ. არ აღემატება. ეს ფასი ამ ბოლო დროს შესამჩნევად დასწიეს, ასე რომ ხელმოკლე მეურნესაც სრულიად არ გაუჭირდება წამლის შეძენა. ამასთანავე ერთი ვედრო სრულიად საკმარისი არის 15 დესეტინისთვის (30 დღიური), მხოლოდ საქმე ის არის, რომ მარცვალი პურისა კარგად იყოს დასველებული და ყველა ადგილას მოდებული.

რაც შეეხება ამ ახალ საწამლავის ღირსებას, სამინისტრო ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ იგი ისათსავე შხამს შეიცავს, როგორსაც ლეფლერის პირველი საშუალება. ამას გარდა, შხამი ინახება დიდხანს და სრულიადაც არა ჰკარგავს თავის ძალასა და თვისებას, რა გინდ შორს გაიგზავნოს. ძალას უკარგავს მხოლოდ ხანგრძლივი მოქმედება სინათლისა და ყინვა. კაცზედ, ცხოველებზედ და ფრინველებზედ სრულიად არაფერი გავლენა არა აქვს ამ შხამს და სრულიად უვნებელია.

სრულიად შეცდომით და უსაფუძვლოდ ჰფიქრობენ ზოგიერთნი, რომ ეს ახალი საშუალება თაგვიდამ თაგვს ედებაო და ამ გვარად მრავალი ახლო მახლო მყოფი თაგვი იწამლებაო. ნამდვილად კი საქმე სხვა ნაირად არის: შხამი სრულიად არ ედებათ ერთმანეთიდან თაგვებს, რის გამოც მარტო ის თაგვები იხოცება, რომელნიც მოწამლულან.

ამიტომ, თუ რომელმამე მეურნემ იხმარა ეს საშუალება და გაწყვიტა თაგვი 15 ან 30 დესეტინაზე და მახლობელს მიწებში კი ჯერ ისევ არიან ათასობით თაგვები, რამდენისამე ხნის შემდეგ ის თაგვები, უსათუოდ, გადმოვლენ განთავისუფლებულს მიწებზე და ხელ-ახლად მოედებიან მინდვრებს. თუმცა თაგვები ერთმანერთს სჭამენ და ამ გვარად შეიძლება გადაედოს სხვებსაც შხამი,—მაგრამ მკვდარ თაგვებს, უმთავრესად, ფრინველები სჭამენ და არა თვით თაგვები.

ლაბორატორიაც ნათლად დარწმუნდა ამაში მრავალის გამოცდილებით: საწამლავი მოქმედობს მხოლოდ დროებით და ხანდახან სრულიადაც არა, რადგანაც ერთიბეწვა ნაწილს მიწისას, თაგვთაგან განთავისუფლებულს, ხელახლად ედებოდა თაგვთა ხროვა სხვა მიწებიდგან. ჯეროვანი ნაყოფი მოიტანა მხოლოდ ამ საშუალებამ მაშინ, როდესაც უწამლეს ყველა მიწებს, რომელსაც თაგვები მოსდებოდა.

ამ გვარად, საწამლავს ჯეროვანად შეუძლიან იმოქმედოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მიწებსერთს დროს და ერთგვარად უწამლებენ წინააღმდეგ შემთხვევაში კი ტყუილი და ამაო ცდა იქნება.

ამის გარდა, ლაბორატორიამ გამოიკვლია კიდევ ახალი მიკროორგანიზმი, როგორც თაგვებთან საბრძოლი საშუალება. რამდენისამე გამოცდის შემდეგ, რომ ლაბორატორია ნამდვილად დირწმუნებულიყო მის სარგებლობაზედ, პეტერბურგიდგან გაგზავნეს ხერსონის გუბერნიაში ადგილობრივ საცდელად წამალი.

მრავალ გზის გამოცდილებამ დაარწმუნა იქ გაგზავნილები, რომ ეს საშუალება უებარია და გაცილებით უკეთესია ლეფლერის საწამლავზე, რის გამოც სამინისტრო უკვე შეუდგა მის გავცელებას.

ახალი მიკროორგანიზმს დიდი უპირატესობა აქვს, თურმე, ლეფლერის წამალთან: თაგვებს უფრო ადვილად ედებათ შხამი და სწრაფადაც იხოცებიან. ამისათვის, სასურველია, ვინც კი გამოიწერს, სწორედ ეს ახალი საწამლავი გამოიწეროს, რადგან მრავალმა ახალმა გამოცდილებამ აშკარად დაამტკიცა მისი უებარი სარგებლობა.

სასურველია, რომ ამ საქმეში მეთაურობა იკისროს ჩვენმა სამეურნეო საზოგადოებამ; თვითონ გამოსცადოს ახლად გამოგონილი თაგვების საწამლავი და, დარწმუნდება რა მის სარგებლობაში, ხალხში გაავრცელოს და შესაფერი რჩევა დარიგებანი დაბეჭდოს პაწია წიგნაკებად ქართულ ენაზედ; თორემ, თუ ასე იმრავლა თაგვმა, საქართველოში შიმშილობა ჩამოვარდება და მომავალ დაუპატიჟებელ სტუმარსაც, შავ-ჭირს, ხომ ეგ უნდა.

ზ. ედილი.

გებს ძმობას და ერთობას, ძმობა კრავისა მგელთან!

ეს ბავშვური გულ-უბრყვილობა ჭკუათა მყოფელ კაცს მხოლოდ ღიმილს მოჰგვრიდა. ჩვენთა „მოძმეთა» გაზეთმა კი აქო «კვალი“ და წაახალისა: კვლავაც ასე მეცნიერულად სწერეო.

რატომაც არ აქებენ: „სხვილ-ფეხა» *) კაპიტალისტებისთვის ეს ხელსაყრელია!.

⁂ **მთავარ მართებლის ჩამობრძანებაზე** გაზეთი «კავკაზი» იუწყება, რომ თავდაპირველად თავადი გ. ს. გოლიცინი ჩამობრძანდება მცხეთაში, სადაც წირვას მოისმენს ჩვენს დიდებულს მცხეთის სობოროში; ხოლო ტფილისში ჩამოსვლისათანავე პირდაპირ სიონის სობოროში წაბრძანდება. რაც შეეხება ყველა თანამდებობის პირთა და სხვა-და-სხვა წოდების წარმომადგენელთ, მთავარმართებელი სასახლეში მიღებას ინებებს 10 მარტსაო.

⁂ **ფრანგული მეჯლისი.** გუშინწინ გამართულ მეჯლისზე დიდძალი ხალხი დაესწრო. ლატარია-ალეგრიმ ჩინებულად ჩაიარა და არც ერთი ბილეთი არ დარჩენილა გაუყიდველი. შემოსავალი ას თუმანზე მეტი იქნებოდა.

⁂ **ახალი დირექტორი.** ტფილისის საკომერციო ბანკის დირექტორად არჩეულ იქმნა ამ თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ა. მ. თამამშევი.

⁂ **პოლიციელის თავხედური საქციელი.** გაზ. „კავკაზში“ სწერენ, რომ მთაწმინდაში პოლიციელი № 31 მთვრალი და გალექებული შევარდნილა ბ-ნ ნათაძის სადგომში და მეტად უმართებულოდ მოქცეულა. პოლიციელი, თურმე, ვიღაც ბიჭს დაეძებდა და ამ ძებნაში იმდენი ერთგულება გამოუჩენია, რომ კინაღამ დიასახლისის საწოლ ოთახში შევარდნილა. ასეთი საქციელი, ეჭვი არ არის, სასტიკ დასჯას მოითხოვდა, მაგრამ პატრონი ვინ არისო! იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ-ნი მასტიცკი ღირსეულად დასჯის თავხედს და ლოთს პოლიციელს.

⁂ **შუა ქალაქში რევოლვერების სროლა.** გუშინწინ, 24 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზედ, აბას-აბასის მოედანზედ ერთი პოლიციელი მოსდევდა ვიღაც ახალ გაზდა ბიჭს; რომ ველარ მოსწვდა, ორჯერ ზედი-ზედ ესროლა რევოლვერი გაქცეულს; ბიჭმა კიდევ ირბინა ველიამინოვის ქუჩამდის. იქ-კი რევოლვერით ხელში დაეწია პოლიციელი, დაიჭირა და წაიყვანა, სადაც ჯერ არს.

ამბობენ, ბიჭს ვიღაც მელამფის დუქნის გაქურდვა ჰბრალდებაო, მაგრამ მაინც საკვირველია. შუა-დღისას, შუა ქალაქში, საცა ხალხი ბუზივით ირევა, წესიერების დამცველისაგან დამბაჩების ტრიალი და ტყვიების სროლა.

⁂ **თელავის სამოქალაქო სასწავლებლის საქველმოქმედო საზოგადოების კოსტიუმებიანი ბალი.** 21 თებერვალს სამოქალაქო სასწავლებლის დარბაზში გამართულმა საქველმოქმედო ბალმა მრავალნი მიიზიდა. ეტყობოდათ, მოსულიყვნენ თითქმის ყველანი იმისთვის, რომ სხვა-და-სხვა ნაირად ჩაცმულ მოკაზმულნი ენახათ. მოგეხსენებათ, როცა ყველანი საყურებლად იკრიბებიან, მაშინ საყურებელნიც თითონვე ხდებიან. ესე მოხდა აქაც. საყურებლად რაკი მრავალნი მოსულიყვნენ, დასანახთა რიცხვი მრავალჯერ შემცირებულიყო. საყურებელნი შეადგენდნენ 2°/₀ მაყურებლებისას, რომელთა ესტეტიური გრძნობანი სამთ დაატკბეს; ამათ შორის ორი მანდილოსანი იყო, ერთი მონადირედ და მეორე ბოშა დედაკაცად ჩაცმულები და ერთიც პოლონელი, რომელსაც ქართული ქულაჯა თვისის მოწყობილობით მეტად ამშვენებდა. სხვებს-კი, ვგონებ, დანიშნულება ჩაცმულობისა დაევიწყათ. ყველა ეს მაყურებელს უნებლიედ გაახსენებდა ერთი მორალისტის სიტყვებს: „ექცენტრიული ჩაცმა-მოკაზმვის მიმდევარი და მქადაგებელი ზნეობრივ კიბეზედ ზღვიდამ ქვევით მორბენალია“.

⁂ **სანიტარული ზომები შავი ჭირის საწინაამდეგოდ.** 21 და 22 ამ თვეს, ქალაქის სასანიტარო რჩევას თათბირი ჰქონდა. გარდასწყვიტეს, სხვათა შორის, შემდეგი ზომები შემოიღონ, თუ ვინიცობაა ქალაქს შავი ჭირი შემოეპარა: 1) ქალაქმა გამოიწეროს პარიზელ ექიმის რუსაგან პეტერბურგის ექსპერიმენტალურ მედიცინის ინსტიტუტისაგან და მოსკოველ პროფესორის გაბრიჩელსკისაგან, 2) ქალაქის მკვიდრთ უბაჟოდ მიეცეთ წყალი, 3) ქუჩები ღამით ასუფთაონ ხოლმე და არა დღისით, 4) ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში გაიმართოს საზოგადო ფეხის ალაგები, 5) საჭიროებისადაგვარად ასი საწოლით საავადმყოფო გაიმართოს შავის ჭირით სნეულთათვის და 6) მიეჩინოსთ საკუთარი სასაფლავო და სხვა.

⁂ **ახალი თარგმანი ქართულ ენაზედ.** რუსეთის გამოჩენილ ბელეტრისტის ტურგენევის რომანი, „წინა დღით“ (на канунѣ) ქართულად გადაუთარგმნია ზ. ედილს და მსურველს გამომცემელს შეუძლიან წაიღოს დასაბეჭდათ სრულიად უსასყიდლოთ. ადრესის შეტყობა შეიძლება „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში.

⁂ **ახალ-მოდის რაინდი.** ერთ ქუთაისელ ახალგაზდა თავადიშვილს, „არისტოკრატთაგანს“, როგორც მოგვითხრობს „ნოვოე ობოზრენიე“, ძლიერ მოსწონებია ცირკის პატრონის სურის ახალგაზდა კეკლუცი ქალი. ამ ვაჟბატონს საღერღელი აშლია, დაუწყია არშიყობა, მელასავით შეპარვია და თან-და-თან, უფრო და უფრო დაუმსახურებია ლამაზი ქალის ნდობა. ერთ ღამეს, წარმოდგენის შემდეგ „მშვენიერი ელენე“ მოდიოდა, თურმე, სახლში; მოჰყვებოდნენ მისი მასწავლებელი ქალი და ჩვენი „რაინდი“. ქალმა გზაზე ეტლი დაიქირავა, გამოესალმა თავის „არშიყს“ და სახლისკენ წასვლას აპირებდა. დაიძრა თუ არა ეტლი, „რაინდმაც“ შიგ ეტლში ამოჰყო თავი და უბრძანა მეეტლეს სხვა გზით ჩქარა წასულიყო... მაგრამ ეტლი რამდენსამე ნაბიჯზედაც არ გაწეულა, რომ მეეტლესა და ჩვენს „რაინდსაც“ ქვა დაუშინეს. „უშიშარმა და არა გულ-მართალმა რაინდმა“ იკადრა ეტლიდამ ჩამობრძანება და პირში ჩალა გამოვლებული მოკურცხლა. ამ ქალის მხსნელი ყოფილა ერთი ვიღაც სპარსელი, რომელიც ქალის მამას საგანგებოდ, ამ გვარ შემთხვევისთვის დაუქირავებია.

⁂ **თაგვების გამრავლება ქალაქის მიდამოებში.** როგორც ყველამ უწყის, წრეულს ბევრგან ჩნდება და მრავლდება მინდვრის თაგვები, რომელნიც ყოველს ნათესს მუსრს ავლებენ. ქალაქსაც ავჭალის მხრით იქ, სადაც გერმანელთა ახალშენი ალექსანდროდერფია, საკვირველად მრავლად არის თაგვები, კაცი ნაბიჯს ვერ გადადგამს, რომ თაგვები არ მოხვდეს ფეხებში. თაგვების სოროებით სავსეა მთელი მიდამო; საკმარისია კაცი ერთს წუთას გაჩერდეს, რომ თაგვთა ხროვა თვალ წინ გადაეშალოს. თაგვთა შორის, აქა-იქ თხუნელებიც მოსჩანან, რომელთა რიცხვიც კარგა ბლომად არის. საზარელი სანახავია ნახნავი მიწები. რაღა უნდა ჰქნან პატრონებმა, თუ რომ ასე განეგრძო და დროით არა ეშველა-რა. ნათესს სულ მთლად შესჭამენ და აბა რაღა უნდა ამოვიდეს. ახლად გაშენებულს ტყეშიაც ხომ ძალიან არის თაგვი გახშირებული. საბრალო ხეებისთვის ისე გამოუთხრიათ და გამოუჭამნიათ ძირები, რომ კაცმა ამოსწიოს, ხე სულ მთლიანად ამოჰყვება ხევით გახრიგნილი და გატყავებული. ასე მოსდით ახლად ჩარგულს ხეებს, ხოლო რაც შეეხება ორისა და სამის წლისებს, ისინი ჯერ ისევ მაგრად არიან და შემდეგ-კი ღმერთმა უწყის. ეჭვი არ არის, თუ დროით არ უშველეს, ამათაც ისევე გამოუთხრიან ძირებს.

⁂ **«ქართველთა ტომი» ი. როსტომაშვილისა.** ჩვენ მივიღეთ პეტროვსკაში ი. როსტომაშვილის მიერ შედგენილი და გამოცემული ალბომი „ქართველთა ტომი». აქ ყველას მოეწონა და სასიამოვნოდ დაგვრჩა, რომ სურათები რუსულის ენითაც არის ახსნილი. აქაური რუს-ქართველი ქართველობა და უმეტესად ქართველი ქალები დიდის გულმოდგინებით სინჯვენ თავიანთ და-ძმათა სურათებს, ითვალისწინებენ წარსულს და მათ ვინაობას კითხულობენ რუსულად მაინც. ერთი დიდი ნაკლი ემჩნევა ალბომს და, გვიკვირს, როგორ გამოსტოვა ბ-ნმა ი. როსტომაშვილმა. დიდ სიკეთეს იზამდა, პატივცემული გამომცემელი, რომ ალბომში საქართველოს რუქაც ჩაერთო; მაშინ უფრო ადვილი საქმე იყო უცხო მხარეში მყოფ ქართველთათვის თავიანთი მიწა-წყლის გათვალისწინება. იმედია, ბ-ნი ი. როსტომაშვილი ამ ნაკლს შეავსებს და მომავალში „საქართველოს სურათებს“ რუქით გამოსცემს.

⁂ **სამი ხელობის კაცი.** მე სწორედ უცნაური კაცი ვარ! ჩემი მსგავსი ამ ქალაქში არ მეგულება, არც ხასიათით, არც ტანადობით; სიმძიმითაც მძიმე ვარ; აი მაგალითად: როცა ფოთის ხიდი გაკეთდა რიონზე, პირველად მე გავიარე ზედ; ძლიერ მაგარი გამოდგა—არ ჩატყდა. ამით დასრულდა ფოთის ხიდი და შეიქნა მიმოსვლა. შეხედულობითაც ბუმბერაზი ვარ და კარგი სიტყვა-პასუხის კაციც. არ მიცნობენ, თორემ მთავარ-სარდლად მიმიწვევდნენ კრიტის კუნძულზე ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად; მართლაც, სახელს გავითქვამდი მე იქ. ჩემი შეხედვა რისხვას დასცემდა მტერს და არც ევროპის დიდნი სახელმწიფონი გამიწევდენ წინააღმდეგობას; და ასე და ამ ნაირად კრიტას ჩავაბარებდი საბერძნეთს...

სამი ხელობა გამოვცადე: მეკურტნობა, მეფურნეობა და ბოლოს ვაჭრობა. თვითოეულმა ხელობამ თავისი წაუშლელი დაღი დამასვა: პირველმა—კუზი, მეორემ—მუცელი და თავ-ყბა დამიია, მესამემ—მოძრავ ქონებას გამომასალმა და დამტოვა ხელ-ცარიელი; მას აქეთ დავხეტიალობ, ვწუხვარ, მაგრამ ვერაფერი საქმე ვერ გავიჩინე...

ერთხელ გაზეთში წავიკითხე საფრანგეთში ადამიანს კუზს უსწორებენო ექიმები და მეც განვიზრახე იქ წასვლა; მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ არ წაველი: კუზი საჭიროა ჩემთვის, რადგანაც ისევ ძველ ხელობას, მეკურტნობას, მინდა დავუბრუნდე. ნათქვამიც არის: „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო“ და მეგობარი-კი არა, ეს ჩემი მასაზრდოებელი ხელობა იყო...

თქვენი გოგინიკა

⁂ **ოზურგეთი. ხალხურ სიმღერების ნოტებზე გადაღება.** ფრიად საინტერესო და სიმპატიური კომიტეტი შესდგა ოზურგეთში. ამ კომიტეტს აზრადა აქვს შეჰკრიბოს ჩვენი ხალხური სიმღერები და ეროვნული საგალობლები ნოტებზედ გადაიღოს და მით ყველასათვის ხელ-მისაწდომი გახადოს ჩვენის ერის საუნჯე, მრავალის საუკუნოების ნაყოფი და წინაპართაგან გადმოცემული. კომიტეტი, თვისის აზრის განსახორციელებლად, აგროვებს საჭირო ფულს. ნოტებზე გადაღება სიმღერა-საგალობლებისა იკისრა ჩვენმა პატივცემულმა მგალობელმა ბ-ნმა ფილიმონ ქორიძემ. კომიტეტი იმედოვნებს, რომ ყველა მამულიშვილი სიამოვნებით და აღტაცებით მიეგებება ოზურგეთელების ამ განზრახვას და, შეძლებისა-და კვალად, დახმარებას აღმოუჩენს. კომიტეტის თავმჯდომარედ ბრძანდება ოზურგეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლი პატივცემული თ. სვ. გუგუნავა, ხოლო წევრებად იმავე კომიტეტისა: ოზურგეთის მაზრის უფროსი კონ. ზ. ალშიბაია, ქალაქის მოურავი თ. ნ. თავდგირიძე, საკრებულო ტაძრის მღვდელი მამა დავით ღუმბაძე, მაზრის მმართველის თანაშემწე ალ. გამრეკელი და გურიანთის ბოქაული ბეს. იოსელიანი.

⁂ **ს. ნიგოითი. ახალი ამხანაგობის „ეკონომია“-ს დაარსება.** აგერ ერთი წელიწადია, რაც ნიგოითის საზოგადოებამ გამოიღვიძა, თვალები მოიფშვნიტა, თავი მაღლა აიღო და პროგრესსის გზას შეუდგა: გაიხსნა უფასო წიგნთ—საცავი სამკითხველო, დაარსა ორ-კლასიანი სასწავლებელი, აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა ზნეობრივად და ნივთიერად დამაქვეითებელ ზნე ჩვეულებათა შეცვლა, გაუმჯობესება და სხვ. ეხლაც, როგორც გვესმის, ადგილობრივ ინტელიგენციას განუზრახავს საამხანაგო „ეკონომიურ“ მაღაზიის გამართვა, რომელსაც საგნად ექმნება, მოუპოვოს აქაურ მკვიდრთ ყოველგვარი საჭირო ნაწარმოები, რაც შეიძლება იაფ ფასად, და საუკეთესო ღირსებისა. საყურადღებო უფრო ის არის, რომ, რამდენადაც ვიცით, ახლო—სოფლის მასწავლებელთ ნისიად მიეცემათ ყოველ გვარი მათთვის საჭირო ნაწარმოები. ვინ არ უწყის ჩვენი სოფლის მასწავლებლების სანატრელი მდგომარეობა?! მით უმეტეს პატივის და მადლობის ღირსნი არიან ამ საქმის მეთაურები. მადლობის ღირსია აგრეთვე აქაური მწერალი კ. კალანდარიშვილი, რომელიც დიდს სამსახურს უწევს, თურმე, ადგილობრივ მასწავლებელთ და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ მათ თავის დროზედ ჩაბარდეთ ჯამაგირი.

⁂ **ბათომი. ოთახის გატეხა.** ტფილისის ქუჩაზე, ტუფანბეგის სახლებში, 17 თებერვალს დილით 11 საათზე გატეხეს დაკეტილი ოთახი ლუკა ენუქიძისა. ოთახიდან გაუტანიათ მხოლოდ ერთი ვერცხლით გაწყობილი ხანჯალი და რევოლვერი სხვა ნივთს არაფერს არ შეხებია ქურდი. ენუქიძემ ეჭვი მიიტანა მისსავე გვერდზედ მეორე ოთახში მდგომ გ—ზედ. პოლიციის ბოქაულმა გაუჩხრიკა ოთახი, მაგრამ მოპარული კი ვერაფერი აღმოაჩინა; ნახეს მხოლოდ გასაღები, რომლითაც ოთახი ადვილად იღებოდა. მიუხედავად ამისა, შენიშნული პირი ეხლაც თავისუფლად დასეირნობს...

საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ჟამად ბათომში დიდძალი ხალხი ირევა უსაქმოდ, რადგან მუშაობა აღარ არის და, რა თქმა უნდა, გაჭირვება ბევრს ცუდს რასმე აბედვინებს კაცს: არა თუ დაკეტილი კარები გააღონ, ვგონებ კაცს სიარულშიაც ფეხებზე წაღები გახადონ.

⁂ **უხუთი. მამასახლისი პატრონიც გამოდგა და მტერიც.** აქაური ბედ-იღბალი დამოკიდებულია მხოლოდ მამასახლისზე, მაგრამ განა აქეთკენ მოიძებნება იმისთანა სამამასახლისო კაცი, რომელმაც იკისროს სოფლის ავ-კარგიანობა, მოვლა და დაუღალავის შრომით სოფლის გაუმჯობესება? არა და ათასჯერ არა. აქამომდე საწყალი გლეხები ირჩევდნენ იმისთანა კაცს, რომელიც ან ქალაქში ნამყოფი იქნებოდა და ან „ნასალდათარი“. ვითომ რაო და: შესმენილი იქნებაო. მაგრამ, საუბედუროდ, ამისთანა კაცებმა უფრო მოხერხებულად დაიწყეს გაიძვერობა, ასე რომ საწყალ გლეხებს ტყავის მეტი არა შეარჩინეს რა. ამათგან დაშინებულმა გლეხებმა, ამ ბოლო დროს ამოირჩიეს იმისთანა კაცი, რომელიც ნაცარს არ მოშორებია და, თუმცა სიმდიდრე ბევრი აქვს, მაგრამ პერანგი წელიწადში ერთხელაც არ გაურეცხია; არც ავის და არც კარგის თქმა არ შეუძლია, მხოლოდ ჩამოიკიდებს ქამარზე თავის ძველებურ დაკონკილ გრძელს თუთუნის ქისას და სხვილად დაჭრილ თუთუნს უპლაკუნებს თეთრ ტარიან ყალიონით.

სოფელმა ამოირჩია ამისთანა აბლაკუტა კაცი იმისთვის, რომ ეს მართალი და მდიდარი კაციაო და, თუ არაფერს შეგვძენს, ვერაფერს დაგვაკლებს მაინცაო. მაგრამ, საუბედუროდ, არ გაუმართლდათ გლეხებს

---

*) ეს სიტყვა „კვალის» შემოღებულია.

სურვილი. ამ ბოლო დროს, ამ აბლაკუტა კაცმაც ისწავლა ძველებისაგან ხელობა და ჰყვლეფს ხალხს: საბეჭდავს მდიდარს ახდევინებს ორ აბაზს და ღარიბს კი ერთ მანათს. სამართლიანობაც ამასა ჰქვიან! კიდევ ბევრი რამ არის ჩვენკენ. მეტად სასურველია, რომ ეხლა მაინც გამოერკვიონ ღრმა ძილიდგან ეს სოფლელნი და დააარსონ ერთი რიგიანი სკოლა, მოიწვიონ კეთილ-სინიდისიერი მშრომელი მასწავლებელი და შეუდგნენ ბავშვების აღზდას, რადგან მხოლოდ, ერთად-ერთი ხსნის სახსარი სკოლაა და მას-ღა შეუძლიან მოხსნას გლეხებს მძიმე უღელი, რომ მათი შვილები მაინც აღარ იჩაგრებოდნენ ეხლანდელ გაიძვერებისაგან.

⁂ **აბაშა**. თავხედური ავაზაკობა. ოც თებერვალს, ღამით ცხრა საათზე, ბაზარის ახლო სამმა შეიარაღებულმა ავაზაკებმა გაქურდეს ადგილობრივი ვაჭარი ფილიპე მიმინოშვილი. წაიღეს ორმოცი მანათი ფულათ, მანდილოსნის ოქროს საათი ღირებული ას მან. და ძვირფასი ბეჭდები. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ყოველი ღონე მიიღო ავაზაკების შესაპყრობათ, მაგრამ ჯერ ვერაფერი აღმოაჩინა. საკვირველია ღმერთმანი, ასეთს თავხედობას როდის მოეღება ბოლო! მთელი ბაზარი ფეხზე იდგა, როცა ასე დაურიდებლად ამისთანა თავხედური ქურდობა ჩაიდინეს.

აქეთ ეხლა და ეხლა კარგი დარებია. სიმინდს ფასი სრულებით არა აქვს და ხალხი დიდ გაჭირვებაში არის ჩავარდნილი ცალკე უფულობით და ცალკე ამოდენა გადასახადით.

ქალაქის საბჭო

გუშინ-წინ, 24 თებერვალს, ქალაქის საბჭოს სხდომა ჰქონდა, რომელზედაც შემდეგი საგნები განიხილეს:

წაიკითხა თუ არა საბჭოს მდივანმა წარსულ სხდომების ანგარიში, მაშინვე წამოდგა ხმოსანი ანანოვი და სთქვა: „არ მესმის, როგორ ჰფიქრობთ იშოვოთ შესაფერი სახლი საავადმყოფოსთვის ოთხის თვით და თუნდაც ერთის წლით? ჩემის აზრით, დროებით სახლს ვერ ვიშოვით, რადგან არავინ არ დასთანხმდება თავისი სახლი გადამდებ სენით ავადმყოფებისთვის დაგვითმოს; ამიტომ, ეხლავე მივსცეთ გამგეობას 5000 მან., რომ ამ ფულით აშენდეს გადამდებ სენით ავადმყოფთათვის ფარდულები.

გამგეობ. წევრი თ. არღუთინსკი.—სამწუხაროდ, გამგეობამ ვერსად ვერ იშოვა ჯერ-ჯერობით ახალი; საავადმყოფოსათვის შესაფერი ბინა. ამისთვის ეთანხმება ხმ. ანანოვს, რომ საჭიროა ფარდულები გაიმართოს.

ხმ. ხუდადოვი თანახმაა ხმ. ანანოვისა და ამტკიცებს, რომ ფული ფარდულებისთვის საბჭომ ეხლავე უნდა გარდასდოსო.

თავმჯდ. ივანენკო.—ეგ საქმე დღეს ვერ განირჩევა, რადგან გუბერნატორისთვის არ მოგვიხსენებია, რომ დღეს საბჭოს, სხვათა შორის, ამ საგანზედაც ექნება მსჯელობა.—კანონი თხოულობს, რომ საბჭო არ გადასცილდეს იმ საქმეთა სიას, რომელიც დანიშნულს დღეს უნდა გაირჩეს.

ხმ. ხუდადოვი. ეგ მხოლოდ ოფიციალური მიზეზი გახლავთ. ნუ დავივიწყებთ, რომ საავადმყოფო მუშა ხალხისთვის ამ ჟამად ისეთი საყურადღებო საგანია, რომლის გადადებ-გადმოდებაც ყოვლად მოუხერხებელია.

თავმჯდ. მე სრული თანახმა ვარ ბ. ხუდადოვისა და ამიტომ მზადა ვარ ეხლავე მოვახსენო გუბერნატორს, რომ დღეს, სხვათა შორის, ბ. ანანოვის მოულოდნელს წინადადებას განიხილავს საბჭო საავადმყოფოს შესახებ.

ამის შემდეგ ცხარე ბაასი ასტყდა ახალი საავადმყოფოსთვის ადგილის ამორჩევის შესახებ და, ბოლოს, საბჭომ ხმის უმეტესობით მიანდო ქალაქის გამგეობას, ექიმი—ხმოსნების თანადასწრებით, ამოარჩიოს ქალაქში შესაფერი ადგილი ფარდულებისათვის.

ამის შემდეგ დიდი ბაასი ასტყდა იმის შესახებ, თუ რამდენი ფული უნდა დახარჯოს ქალაქმა ფარდულებზედ; ისეთი ალიან-ჩალიანი შეიქმნა, რომ კაცი ვერ გაიგებდა ვინ რას ამბობს და ვის რა სურდა... თავმჯდომარის ზარი სრულებით უმნიშვნელო შეიქმნა... არავინ უგდებდა მას ყურს.

ხმ. თაიროვი. ჩემის აზრით, სრულებით უსაფუძვლო იქნება ეხლა ჩვენ რომ ფული დავნიშნოთ; ჩვენ არ ვიცით, რაში ვაძლევთ ფულს და რამდენია საჭირო. გავიძახით,—ამდენი და ამდენი მივცეთო! ეგრე არ შეიძლება: ჯერ გამგეობამ უნდა მოამზადოს ვრცელი პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ სამკურნალოსთვის, წარმოუდგინოს ეს პროექტი საბჭოს, რომელიც განიხილავს, და მხოლოდ მაშინ შეიძლება ფულებზედ ლაპარაკი.

ხმ. ალიხანოვი და ბაბოვი ეთანხმებიან ხმ. თაიროვს.

ხმ. ქაუზარიანცი. მე ადგილის თაობაზედ მინდა მოგახსენოთ: შეიძლება, ის ექიმები, რომელნიც ამოსარჩევად იქმნებიან დანიშნულნი, ვერ დაეთანხმნენ ერთი-მეორეს და სამი სხვა-და-სხვა აზრი წარმოსთქვან,—ეს ხომ ხშირად მოხდება ხოლმე ექიმთა შორის! (საერთო სიცილი—ზარის რეკვა—ხმაურობა!) მაშინ როგორ უნდა გადაწყდეს საქმე, ხომ სამსავე ადგილს ვერ დავიჭერთ?

თავმჯდ. თქენი აზრი დიდად საყურადღებოა, მაგრამ ამის თაობაზედ საბჭომ უკვე გაათავა ბაასი და შესაფერადაც გადასწყვიტა.

ბევრის ბაასის შემდეგ, საბჭომ გადასდო საავადმყოფოსათვის 5,000 მანათი.

ხმ. ხუდადოვი—თხოულობს ქალაქმა მცირედი შემწეობა მაინც აღმოუჩინოს ვაჟთა საკვირაო სკოლასო.

თავმჯდომარე. ეს კითხვა არ განიხილება, რადგან თქვენ ჯერ ამაზედ წინადადება უნდა შემოიტანოთ გამგეობაში და გამგეობა საბჭოს წარუდგენს. (სიცილია).

ხმ. ხუდადოვი. თქვენ, მგონი, გავიწყდებათ, რომ მე ერთი ხმოსანთაგანი ვარ და უფლება მაქვს ჩემი აზრი მოვახსენო საბჭოს... (ხმაურობა)...

თავმჯდ. კარგათ მახსოვს, რომ ხმოსანი ბრძანდებით. შემოიტანეთ ქაღალდი და მე საბჭოს მოვახსენებ შემდეგს სხდომაზედ. (ისმის ხმები: მართალია!.. მართალი!).

საბჭომ ხმის უმეტესობით დაუნიშნა შემწეობა ქალაქის სკოლის მასწავლებელს პაპიტაშვილს—200 მ., და ბ. ვარძელოვს, რომელიც სახელოსნო სკოლის მასწავლებლად იყო.—500 მან.

ამის შემდეგ საბჭოს მოხსენდა ხმ. იაკიმოვის ქაღალდი, რომლითაც თხოულობს მიეცეს შემწეობა ვერის უფასო სასწავლებელ 300 მან. სახლის დასაქირავებლად.—საბჭომ გადასწყვიტა მიეცეს—200 მან.

ბოლოს, საბჭომ განიხილა გამგეობის მოხსენება ქალაქის განათების შესახებ. ამ საგანმა დიდი ბაასი ასტეხა, რადგან გამგეობა სთხოვდა საბჭოს შარშანდელს ხარჯს (22,000 მანათს) მოემატოს კიდევ 10,111 მანათი, რომ ამით ქალაქი უმჯობესად განათდესო. ბევრი ხმოსანთაგანი დაეთანხმა, მაგრამ საბჭომ მაინც ხმის უმეტესობით გადასწყვიტა დარჩეს წელსაც განათებისათვის 22,000 მანათი, რადგან ქალაქი წელს, სხვა და სხვა მოულოდნელის ხარჯის გამო, დიდს დეფიციტს მოელისო.

სხდომა დაიშალა ღამის 12 საათზედ.

საქმის ვადები სასამართლოში.

—

ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია გასარჩევად:

4 მარტს.

ალექსანდრე დანელიას საქმე, ქუთაის ოლქის სასამართლოს განჩინებაზედ, დანაშაულობისა გამო მასა 115 და 2 მ. 1455 მ. სას. დად. (მკვლელობა.).

—

ნიკოლოზ ქადაგიშვილის საქმე, ტფილისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზედ, რომელსაც ბრალდება თავის ცოლის მოკვლა.

11 მარტს.

ილარიონ ხელაიას საქმე, რომელსაც ბრალდება სიყალბის ჩადენა.

განცხადებანი

ახლად გამოვიდა და ისყიდება

ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წყალწმიდის ძმობისა,

თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილისს გარეთ: ოზურგეთში თავართქილაძესთან, მაჩხაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შუღაროვთან. (3—3)

დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

შეიძლება დაიზღვას თანხა განსაზღვრულის ვადით, ასე რომ იმ პირს, რომელმაც დაიზღვია თანხა, ანუ პოლისის პატრონს, რაკი პირობაში ნაჩვენები განსაზღვრული ვადა დასრულდება, მიეცემა ფული სრულიად; ხოლო, უკეთუ დაზღვეული პირი გარდაიცვალა პირობაში აღნიშნულ ვადამდე, მაშინ მემკვიდრენი ფულს აღარ შეიტანენ და დაზღვეულ თანხას ვადაზედ უნაკლულოდ მიიღებენ და, გარდა ამისა, საზოგადოება აძლევს ყოველ წლიწადს პოლისის პატრონს სარგებელს 5% დაზღვეულის თანხიდამ.

მაგალითი: მამა, რომელიც 30 წლისაა, ვსთქვათ, აზღვევს პატარა შვილისათვის თანხას 5,000 მანათს, იმ პირობით, რომ იგი თანხა შეიტანოს 21 წლის განმავლობაში.

ამ დაზღვევაში იმან უნდა იხადოს ყოველ ოთხ თვეში ერთხელ,—21 წლის განმავლობაში,—**74** მანათი და **50** კაპ.

თუ ვინიცობაა მამა მოკვდა, თუნდაც დაზღვევის პირველ წელიწადსვე, შვილს ეძლევა 20 წლის განმავლობაში ყოველ წლივ სარგებელი 250 მანათი და, გარდა ამისა, რა დადგება პირობაში აღნიშნული ვადა, დაზღვეული თანხა 5,000 მანათიც მიეცემა.

უკეთუ დაზღვეული პირი იცოცხლებს აღნიშნულ ვადაზედ მეტს, მაშინ დაზღვეული თანხა ეძლევა მას, ანუ პოლისის პატრონს.

დაზღვევა მიიღება ამიერ-კავკასიის უმთავრეს აგენტის საოლქო სამმართველოში **თევდორე ალექსანდრეს ძე ივანოვთან**, ქ. ტფილისში, **ერევნის მოედანზე**, ველიამინოვის ქუჩის და სომხების ბაზრის კუთხეში, № 2.

ტელეფონი **№ 51**.

Страховое общество

„**ЯКОРЬ**“

Страхованіе принимается въ Окружномъ управленіи Главнаго Агента Закавказскаго края ФЕОДОРА АЛЕКСАНДРОВИЧА ИВАНОВА.

Г. Тифлисъ, Эриванская площадь: на углу улицъ Вельяминской и Армянскаго базара, д. № 2.

Телефонъ управленія № 51. (100—4)

ბუღალტერიის შესწავლა

ვისაც საფუძვლიანად ჰსურს შეისწავლოს

სრული კურსი ბუღალტერიისა სამის თვის განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკში უფროსს ბუღალტერს **ი. ია. ბრონ ფონ ბრონერს**.

ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანად შესწავლისა **40** მან.

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ**,
4) **Коммерческой экономіи**,
5) **Тортовыхъ и вексельныхъ** узаконеній,—преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРОННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита.

Плата за весь курсъ 40 руб.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца. Спросить: Михайловская, 71. Аттестаты за успѣшныя занятія реальнаго училища и школы садоводства. (წ.)

Первый на Кавказѣ

КОЛОКОЛЬНЫЙ ЗАВОДЪ

Инженеровъ

ЯРАЛОВА и **АЛИХАНОВА**

въ Тифлисѣ

Отливаетъ новые и переливаетъ разбитые колокола всѣхъ размѣровъ. Прочность, прекрасный тонъ, умѣренныя цѣны. Надписи на всѣхъ языкахъ.

ინჟენერთა

იარალოვისა და ალიხანოვის

პირველი ქარხანა კავკასიაში

ზარებისა

ასხამს ახალ ზარებს და აკეთებს ძველებსაც და დამტვრეულებს ყოველ ზომისას და ღირსებისას.

ზარები მკვიდრია, მშვენიერის ხმისანი. ზარებზე ზედ წარწერა ყოველ ადგილობრივ ენებზე. (100—14)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25-го Февраля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.